

კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმისა და ადგილობრივი  
მოსახლეობის მოლოდინების/საჭიროებების შედარებითი ანალიზი,  
არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები

მიხეილ ქარცივაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე  
ბუნებათსარგებლობაში მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა - ბუნების დაცვა და მეტყვეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

# განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

მიხეილ ქარცივაძე 06/02/2023

## აბსტრაქტი

დაცული ტერიტორიების დაარსებასა და გამართულად ფუნქციონირებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს მდგრადი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაში. როგორც წესი, დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვა უზრუნველყოფს ეკოსისტემური სერვისებისა და ბიომრავალფეროვნების ეფექტურ კონსერვაციას. თუმცა, დაცული ტერიტორიის მდგრადი მმართველობის პრინციპების დანერგვა ყოველთვის წარმატებულად ვერ ხორციელდება. მოცემული საკითხი, განპირობებული შეიძლება იყოს სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის: არასწორი მენეჯმენტისა და მასში არარელევანტური მიზნების ასახვის გამო. დაცული ტერიტორიის მდგრადი მმართველობის უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას, მათი მოლოდინებისა და საჭიროების საკითხის გათვალისწინების დღის წესრიგში დაყენებას. ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, საინტერესო და მნიშვნელოვანია საქართველოს დაცული ტერიტორიების კერძოდ, კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის კვლევის შესახებ საკითხი, რომელიც ჩემ მიერ მომზადებული სამაგისტრო ნაშრომის ქვაკუთხედი, კერძოდ, კვლევის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის და ადგილობრივი მოსახლეობის მოლოდინების/საჭიროებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, პარკში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება/გამოააშკარავება და მათი შედარება მენეჯმენტის გეგმასთან. აღნიშნულმა კვლევამ მომავალში ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების განსაზღვრა/შერბილებასა და ეფექტური გარემოსდაცვითი აქტივობების გატარებას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კოლხეთის ეროვნული პარკის მმართველობისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის პროცესის განსაზღვრაში, ადგილობრივ მოსახლეობას ინდიფერენტული დამოკიდებულება გააჩნია პარკის მიმართ. მეტიც, მათ შორის შეინიშნება გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დაბალი

მაჩვენებელი. კვლევამ გამოკვეთა, ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული პრობლემატური საკითხები, რის გამოც, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს (ქვემოთ იხილეთ კვლევის შედეგები) გააჩნია ნეგატიური დამოკიდებულება ეროვნული პარკის მიმართ. კვლევამ ასევე აჩვენა მენეჯმენტის გეგმასთან მიმართებით, მოსახლეობისა და პარკის ადმინისტრაციას შორის რიგ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებები მათ შორის ასევე გამოიკვეთა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით თანხვედრა.

### მადლობა

მადლობა ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ ჯავახიშვილს მნიშვნელოვანი რჩევებისა და კონსულტაციებისთვის; მანანა გოგუაძეს, ლაშა მოისწრაფიშვილის, გაია მამაცაშვილს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელს ნატო სულთანაშვილს, კოლხეთის ეროვნულ პარკის დირექტორს დავით გრიგოლიას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის თანამშრომელს სერგო თაბაგარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გაწეული დახმარებისთვის.

### სარჩევი

განაცხადი .....	1
აბსტრაქტი .....	2
მადლობა .....	3
სარჩევი .....	3
ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი .....	4
შესავალი .....	5
დაცული ტერიტორიების შესახებ.....	6
საზოგადოების მონაწილეობა .....	7
დაცული ტერიტორიები საქართველოში .....	12
კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ .....	13